სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჟან მონეს საბაკალავრო პროგრამა

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	ევროპისმცოდნეობა European Studies
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	ევროპისმცოდნეობის ბაკალავრი Bachelor of European Studies
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა მოიცავს ჯამში 240 კრედიტს (ECTS). **სავალდებულო სასწავლო კურსები**: 165 კრედიტი (ECTS), მათ შორის, საბაკალავრო ნაშრომი - 15 კრედიტი (ECTS); **არჩევითი სასწავლო კურსები:** 40 კრედიტი (ECTS); **თავისუფალი სასწავლო კურსები**: 35 კრედიტი (ECTS). სწავლების სტანდარტული ხანგრძლივობაა 8 სემესტრი, 4 წელი. სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 65 კრედიტისა. ამასთან, სტუდენტს 75 კრედიტის აღების უფლება აქვს მხოლოდ დამამთავრებელ სასწავლო წელს.
სწავლების ენა	ქართული ინგლისურენოვანი კომპონენტებით
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	**საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელები:** 1. **ნათია ლაპიაშვილი,** შვეიცარიის ბაზელის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროკავშირის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი და მოწვეული პროფესორი, საფრანგეთის გრენობლის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, კავკასიის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; 2. **ვასილ კაჭარავა,** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; 3. **თამაზ ზუბიაშვილი,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; 4. **დანიელა ურსე,** ბუქარესტის უნივერსიტეტის სოციოლოგიის დოქტორი, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის მოწვეული პროფესორი;

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

	საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი/ავტორი: 1. **ნინო ლაპიაშვილი,** უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი, ბრიტანეთის ედინბურგის უნივერსიტეტის კვლევითი სამაგისტრო პროგრამის მეცნიერებათა მაგისტრი პოლიტილოგიაში, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის/ბუდაპეშტი იურიდიული ფაკულტეტის ადამიანის უფლებების სამართლის მაგისტრი, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის მაგისტრი.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, რომელსაც უცხო ენად არჩეული აქვს ინგლისური ენა. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით. ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნოს მოქალაქის ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და ამ მიზნით: 1. უზრუნველყოს სტუდენდები ფართო ინტერდისციპლინური თეორიული ცოდნით როგორც ევროპისა და ევროკავშირის, მისი ინტეგრაციის, ევროკავშირის სამართლის, ეკონომიკის, პოლიტიკის, ისტორიის, კულტურის, ასევე, ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში არსებული და მოსალოდნელი კავშირების შესახებ (სამართალი, ეკონომიკა, პოლიტიკა, ისტორია და კულტურა);

	2. აღჭურვოს სტუდენტები ევროკავშირის ინსტიტუტების სტრუქტურისა და მოქმედების, ევროპულ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების თავისებურებების შესახებ ფართო პრაქტიკული ცოდნითა და გაგებით, ასევე, იმ საბაზისო ცოდნით, რომელიც ევროკავშირის სამართლის, პოლიტიკისა და ეკონომიკის, ასევე, ევროინტეგრაციის თეორიების, ევროკავშირის ძირითადი პრინციპების და თანამედროვე გამოწვევების კრიტიკულ გააზრებაში დაეხმარებათ; 3. გამოუმუშავოს სტუდენტებს შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომლებიც დაეხმარებათ ევროკავშირში მიმდინარე აქტუალური პროცესების (ევროზონის კრიზისის, უსაფრთხოების გამოწვევების, დეზინფორმაციის პერიოდში სტრატეგიული კომუნიკაციის მნიშვნელობის, ევროკავშირის გაფართოების შესახებ დისკურსის და სხვა), საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების მნიშვნელოვანი ასპექტების, ნორმატიული, პოლიტიკური და სხვა დოკუმენტების მოძიებაში, შესწავლაში, დაკვირვებაში, ინტერდისციპლინური პერსპექტივიდან გაანალიზებაში, ახსნა-განმარტებაში, დასაბუთებასა და ინტერპრეტაციაში; 4. ხელი შეუწყოს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას ევროკავშირის შესახებ და ევროპული ღირებულებების დამკვიდრებას; ასევე, ევროპისმცოდნეობის დარგის პოპულარიზაციას არა მარტო საქართველოში, არამედ რეგიონში.
სწავლის შედეგები	ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებული:
ა) ცოდნა და გაცნობიერება	1) აიდენტიფიცირებს, აღწერს და განსაზღვრავს: • ევროკავშირის სამართლის არსს, პრინციპებს, ნიშნებს, ფუნქციებს, ევროკავშირის სამართლის ძირითად თავისებურებებს, ევროკავშირის სამართლის წყაროებს, ასევე, ევროკავშირის სამართლის სხვადასხვა დარგებს, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების არსს და ევროკავშირის სამართლებრივ ნორმებთან დაახლოების სამომავლო პერსპექტივებს; • ევროკავშირის ეკონომიკური ინტეგრაციის თავისებურებებს, ევროკავშირის ეკონომიკური ინტეგრაციის ისტორიულ, ინსტიტუციონალურ და სამართლებრივ ასპექტებს, მათ შორის, ევროკავშირის მონეტარული ინტეგრაციის მოდელს, ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ღრმა და

	ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ხელშეკრულების თავისებურებებს, ევროპისა და მსოფლიოს ეკონომიკის ისტორიის კანონზომიერებებს, ევროპისა და მისი ცალკეული რეგიონის მოსახლეობის ტერიტორიული მობილობის ძირითად პრობლემებს და საერთაშორისო მიგრაციის მთავარ მიმართულებებს; • ევროინტეგრაციის თეორიებს და მათი განვითარების დინამიკას, ევროკავშირის ინსტიტუტების მოწყობის წესს, ევროკავშირში მმართველობის, პოლიტიკის ფორმირებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის თავისებურებებს, ევროკავშირის პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, ევროსკეპტიციზმის პოლიტიკას, ევროკავშირი-საქართველოს თანამშრომლობის დინამიკას, ევროპისმცოდნეობის დარგისთვის დამახასიათებელ ტერმინებს და ძირითად კონცეფციებს; • ევროპისა და ევროკავშირის ინტეგრაციის ისტორიის ძირითად ფაქტებს და მოვლენებს, მე-19 და მე-20 საუკუნეების ევროპული ლიტერატურის ძირითად ტენდენციებს.
ბ) უნარები	2) აანალიზებს ევროპისმცოდნეობის სფეროში არსებულ რთულ და გაუთვალისწინებელ პრობლემებს, ინტერდისციპლინური მეთოდების გამოყენებით შეიმუშავებს მათი გადაწყვეტის გზებს და ევროპისმცოდნეობის სფეროსთვის დამახასიათებელი ტერმინოლოგიის გამოყენებით ასაბუთებს საკუთარ პოზიციებს/დასკვნებს ზეპირი და წერილობითი ფორმით; 3) არჩევს, აანალიზებს და იყენებს შესაბამის წყაროებს, ევროკავშირის სამართლის ნორმებს და ინტერდისციპლინური კვლევისთვის საჭირო მეთოდებს პრობლემის გამორკვევის, მისი შეფასების, პოზიციის დასაბუთებისა და გამოწვევის გადაწყვეტის მიზნით; 4) მონაწილეობს ევროპისმცოდნეობის სფეროში პოლიტიკის დოკუმენტების, ევროკავშირის სამართლის აქტების, ევროკავშირის ეკონომიკური ინტეგრაციის ცალკეული ასპექტების/პოლიტიკების მოდელირების, ასევე, ევროკავშირის სამართლის სფეროში სამართლებრივი დავის გადაწყვეტის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებაში, დავის გადაწყვეტის კანონიერი საშუალებებისა და ეთიკის ნორმების გათვალისწინებით; 5) მონაწილეობს ევროკავშირის სამართლის, ეკონომიკის,

	პოლიტიკის, ისტორიის ან კულტურის სფეროში კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის პროექტების, მცირე მოცულობის კვლევითი ნაშრომების შემუშავებაში. წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ამზადებს საბაკალავრო ნაშრომს, ანალიტიკური ნაშრომების შესრულების პრინციპებისა და სტანდარტების დაცვით.
გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	6) ევროკავშირში მიმდინარე სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების შესახებ ცოდნის მუდმივად განახლების პროცესში დამოუკიდებლად აიდენტიფიცირებს ევროინტეგრაციის სფეროში წარმოშობილ ახალ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს. ამ პროცესში თანმიმდევრულად აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენის მიზნით; 7) ცნობს საკუთარი საქმიანობის ეთიკის ფარგლებს, ხელს უწყობს ინდივიდთა უფლებების დაცვას, მონაწილეობს ევროპული ღირებულებების გავრცელების პროცესში დარგის სპეციალისტისთვის დამახასიათებელი ეთიკური სტანდარტებითა და სამართლიანობის, სამართლის უზენაესობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების, მათ შორის, ევროკავშირის ევროპული საბჭოს კოპენჰაგენის კრიტერიუმების სტანდარტების გათვალისწინებით და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად.
სწავლება-სწავლის მეთოდები	ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა ეფუძნება სწავლების მრავალფეროვან მეთოდს: დისკუსია, გუნდური მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევის ანალიზი, გონებრივი იერიში, ევროკავშირის სიმულაცია და იმიტირებული სასამართლო პროცესი, პრეზენტაციები, ვებინარები, შერეული სწავლება ან დისტანციური ლექციები, როგორც ელექტრონული სწავლების ცალკეული ელემენტი. სასწავლო კურსები არის ინტერაქტიული და ორიენტირებული თეორიისა და პრაქტიკის გააზრებაზე. სწავლის განმავლობაში მაგისტრატურის სტუდენტებს ხშირად უწევთ შემთხვევის ანალიზისა და დახურული ტიპის კითხვებისგან შედგენილი ტესტების ჩაბარება, რათა უკეთ გაერკვიონ განსახილველ საკითხში და შეძლონ ევროპული სტანდარტების პრაქტიკისათვის მისადაგება. ლექცია-სემინარები წარმოადგენს პროგრამის სწავლების უმთავრეს მეთოდს. სემესტრის განმავლობაში სტუდენტებს მოეთხოვებათ თეორიული მასალის მომზადება, სხვადასხვა დავალების შესრულება ტესტების, სავარჯიშოებისა თუ სხვა სახით. ლექციებზე მათ აქვთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ დებატებსა და

	დისკუსიებში. ერთი კურსის განმავლობაში აკადემიური პერსონალი იყენებს სწავლების რამდენიმე მეთოდს ერთდროულად. განსაკუთრებით აღსანიშნავია პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი, რაც სულ უფრო აქტუალური ხდება. ევროპული კვლევების ინსტიტუტში სასწავლო პროცესის შემადგენელი ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ევროკავშირის სიმულაცია, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ევროკავშირის შესახებ ცოდნის სტუდენტებამდე მიტანის ინოვაციურ გზას, რადგან, სწორედ, მისი მეშვეობით ხდება თავად ევროპული ინტეგრაციის კონცეფციისა და ევროკავშირში არსებული კულტურული მრავალფეროვნების ფენომენის სწორი გაგება. ამასთანავე, სტუდენტებს უყალიბდებათ ისეთი მნიშვნელოვანი უნარები, როგორიცაა ორატორული ხელოვნება, წერის დახვეწილი სტილი, მოლაპარაკებების წარმოებისა და პრობლემათა მოგვარების უნარ-ჩვევები. სხვადასხვა იმიტირებული სასამართლო პროცესის ორგანიზებით სტუდენტები უკეთ ეცნობიან იმ გარემოს, რაც არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციებსა თუ სასამართლოებში. სემესტრის განმავლობაში სტუდენტებს უტარდებათ ერთი შუალედური წერა, რაც ფასდება პროფესორის მიერ შესაბამისი ქულით. ამასთან, როგორც წესი, სტუდენტებმა უნდა მოამზადონ პრეზენტაცია. ამისთვის თითოეულ სტუდენტს ეძლევა გარკვეული თემა, რომელსაც მოამზადებს და წარადგენს აუდიტორიის წინაშე. პრეზენტაციის მსვლელობისას სტუდენტები ერთვებიან დისკუსიაში, სვამენ მათთვის საინტერესო კითხვებს და იღებენ პასუხებს პრეზენტატორი სტუდენტისგან; ცალსახა პასუხის არ არსებობის შემთხვევაში სტუდენტები მსჯელობის გზით მიდიან გარკვეულ დასკვნებამდე. პრეზენტაციის გაკეთებამდე სტუდენტები წერილობითი ფორმით ამზადებენ იმ საკითხის მოკლე მიმოხილვას, რაზეც უნდა წარიმართოს დისკუსია. მიმოხილვა მოიცავს დისკუსიის წარმართვის მთავარ საკითხს, მათ აღმოჩენებსა და დასკვნებს, რაც გააკეთეს საკითხის დამუშავების პროცესში, ისევე როგორც სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემებს. ყველა სტუდენტისათვის სავალდებულოა მონაწილეობა მიიღოს დისკუსიაში ევროკავშირისა და მისი ინსტიტუტების გარშემო. სტუდენტები აანალიზებენ ევროკავშირში არსებულ მდგომარეობას, იმ პრობლემებს, რაც არსებობს მისი ინსტიტუტების წინაშე, ისევე როგორც იხილავენ ევროკავშირის როგორც ზესახელმწიფოებრივი სუბიექტის პოლიტიკისა და რეგულაციების შემუშავების პროცესსა და მისი იმპლემენტაციის საკითხებს, როგორც საერთაშორისო, ასევე, ეროვნულ დონეზე.

	ყველა მეცადინეობას აქვს ინდივიდუალურად შერჩეული სწავლის მეთოდი, რომელიც კონკრეტულად დასახული შედეგის მიღწევაში ეხმარება კურსის ხელმძღვანელს. თუმცა, განზოგადების შემდეგ იკვეთება საერთო მიდგომაც - ე.წ. ლექცია–სემინარების ფორმატი. კერძოდ, საკითხავი მასალის მომზადება სავალდებულოა ლექციაზე მოსვლამდე. ლექცია–სემინარის დაწყებისას პირველი 10–15 წუთი ეთმობა წინასწარ წაკითხული მასალიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტების განხილვას, რის შემდეგაც ლექტორი გადადის უკვე დღის განმავლობაში განსახილველი საკითხის ახსნაზე და მთავარი ასპექტების გამოყოფაზე. ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია სტუდენტის აქტიური მონაწილეობა დისკუსიაში, რათა მოხდეს მთავარი საკითხების უფრო მეტად დაკონკრეტება და სტუდენტამდე მიტანა. სასწავლო კურსის დაწყებამდე ხდება სტუდენტისათვის სრული ლიტერატურის მიწოდება როგორც პროფესორის მიერ საკუთარი წყაროებიდან, ისე ევროპული კვლევების ინსტიტუტისა და თსუ-ის ბიბლიოთეკიდან. სტუდენტები სწავლის პროცესში აქტიურად იყენებენ თანამედროვე ტექნოლოგიების მიღწევებს და ჯგუფური მუშაობისათვის განკუთვნილ ინტერნეტ საშუალებებს. ამასთან, ევროკავშირის ტემპუსის პროექტის „ევროპისმცოდნეობის ინოვაციური სწავლება და სწავლა“ (INOTLES 543955) ფარგლებში თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტში შეიქმნა ინოვაციური სწავლების ცენტრი, რომელიც მიზნად ისახავს დროთა განმავლობაში ინოვაციური სწავლების მეთოდების (სიმულაციის მეთოდი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ელექტრონული სასწავლო კურსები და შერეული სწავლება) დანერგვას სასწავლო პროცესში. ამ ეტაპზე სიმულაციის მეთოდის აქტიურად გამოყენება ხდება შემდეგი კურსების ფარგლებში:“საერთაშორისო კერძო სამართალი”; საერთაშორისო და ევროკავშირის სამართლის თანაფარდობა” (პროფ. ნათია ლაპიაშვილი); „გაეროს როლი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების აღსრულებაში“; „სამართლის ფილოსოფია. შესავალი“; „ევროინტეგრაციის თეორიები“; „ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა სამართალი“; „ევროკავშირის ინსტიტუტები, მმართველობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი“ (ნინო ლაპიაშვილი); „ევროკავშირის ძირითად უფლებათა სამართალი“ (თამარ კვარაცხელია). ელექტრონული სასწავლო კომპონენტის გამოყენება სტუდენტების ნება-სურვილზეა დამოკიდებული და მათთვის დამატებით სასწავლო წყაროს წარმოადგენს.

	კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი სრულიად მომზადებული შეხვდა სწავლების ელექტრონულ და შერეულ ფორმატზე გადასვლას. ამდენად, საჭიროების შემთხვევაში ელექტრონული სწავლების ფორმატი განიხილება, როგორც ერთ-ერთი ალტერნატივა.
შეფასების სისტემა	ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის, შუალედურ/შუა სემესტრულ რეიტინგულ (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და სემესტრის დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვა). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, სიმულაცია, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვა). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება

	შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50% (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით). **შეფასებათა სისტემა აერთიანებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:** ა) (A) ფრიადი –შეფასების 91-100 ქულა; ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; **და ორი სახის უარყოფით შეფასებას:** ვ) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება; ზ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, სტუდენტს მნიშვნელოვანი სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ანუ საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღისა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. **საბაკალავრო ნაშრომის შეფასებისას მოქმედებს შემდეგი კრიტერიუმები** წარმოდგენილი ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები (ფასდება რეცენზენტის მიერ) - მაქსიმუმ 60 ქულა: ტექსტის შესაბამისობა სათაურთან – 5; შესავალი, ნაშრომის სტრუქტურა – 5; ლიტერატურის მიმოხილვა - 5 კვლევის მეთოდები - 5 კვლევისა და ანალიზის უნარი - 5

	დასკვნა – 10; საკუთარი აზრი – 10; აზრის ფორმირების სტილი – 10; ციტირების ტექნიკა – 5; ნაშრომის წარდგენა (დაცვა) დაიშვება თუ სტუდენტი მიიღებს მინიმუმ 31 ქულას (60 ქულიდან). საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე შეფასების კრიტერიუმები - მაქსიმუმ 40 ქულა: მასალის ფლობა – 10; ანალიზის, არგუმენტირების და დასკვნის უნარი – 10; აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი – 10; საკუთარი პოზიციის დაცვა, შეკითხვებზე პასუხი – 10. ნაშრომი დაცულია თუ დასკვნით გამოცდაზე (დაცვაზე) სტუდენტი მიიღებს მინიმუმ 20 ქულას (40 ქულიდან).
დასაქმების სფეროები	ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს ღირებული კომპეტენციების შეძენას სწავლებისთვის, დამოუკიდებელი კვლევის წარმართვისთვის და იძლევა კარიერის შექმნის პერსპექტივებს შემდეგ სფეროებში: • საჯარო სამსახური • არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ევროპული ინსტიტუტები • პოლიტიკური ორგანიზაციები • კერძო სექტორი • საკონსულტაციო ორგანიზაციები • მედია და საინფორმაციო ცენტრები ევროპისმცოდნეობის ბაკალავრს შესაძლებლობა აქვს სწავლა გააგრძელოს სამაგისტრო პროგრამაზე როგორც საქართველოში, ასევე, საზღვარგარეთ.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	პროგრამაზე სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისთვის სწავლის წლიურ საფასურს ადგენს უნივერსიტეტი, ფაკულტეტი და პროგრამა საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური	საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ თსუ-ს პროფესორები, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორები, დამხმარე და ადმინისტრაციული პერსონალი. ასევე, თსუ

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რესურსი	ევროპული კვლევების ინსტიტუტის მიერ მოწვეული შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები. ევროპული კვლევების ინტერდისციპლინურ და ინტერფაკულტეტურ ინსტიტუტს აქვს თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი (მათ შორის, სამი პროექტორი) და გარემონტებული 252 კვ. მეტრის ფართი სამი საკლასო ოთახით, მათ შორის, საკონფერენციო ოთახი, სამი კაბინეტით ადმინისტრაციული პერსონალისთვის და ბიბლიოთეკით. თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შეძენა თავდაპირველად მოხდა ინსტიტუტის დაარსებისთანავე 2007 წელს, ევროკომისიის TACIS პროექტის ფარგლებში. მომდევნო ეტაპზე, ბიბლიოთეკა მნიშვნელოვნად განახლდა 2012-2014 წლებში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ENPI პროექტის ფარგლებში. ასევე, 2017 წელს განხორციელდა ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ფუნდამენტური განახლება ევროკავშირის ტემპუსის INOTLES პროექტის ფარგლებში. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლება მომდევნო წლებში განხორციელდა თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან. პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე, მისი განხორციელებისას გამოიყენება, ასევე, იურიდიული, ეკონომიკისა და ბიზნესის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების მატერიალური რესურსები. სტუდენტებს შეუზღუდავად მიუწვდებათ ხელი თსუ-ში მოქმედ ყველა ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზაზე. **პროგრამის გამართული მუშაობა უზრუნველყოფილია შემდეგი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით:** • თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; • თსუ-ს და ფაკულტეტების რესურს–ცენტრები; • ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც მდებარეობს უნივერსიტეტის ქუჩა N11-ში; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი რომელიც მდებარეობს ი. ჭავჭავაძის გამზირი N1-ში, I კორპუსი); https://www.tsu.ge/ka/library • თსუ-ს ელექტრონული სწავლების პორტალები; https://e-learning.tsu.ge/

	• თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ისეთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე, როგორებიცაა: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვა.https://www.tsu.ge/ka/library/page/893 • თსუ-ს ფაკულტეტების შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზები; • ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა და სხვა.
პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამას ფინანსურად უზრუნველყოფს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მათ შორის, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	ევროპისმცოდნეობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებაზე გადაწყვეტილებას იღებს თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საბჭო. ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის შემუშავებასა და სააკრედიტაციოდ მომზადებაში დიდი როლი ითამაშა ევროკავშირის ჟან მონეს პროექტის (Jean Monnet EUStBA) ფარგლებში ჩატარებულმა შეხვედრებმა, რომლებშიც მონაწილეობას იღებდნენ თსუ-ის ოთხი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, დაინტერესებული მხარეები, მათ შორის, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ევროკავშირის საელჩოს, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საელჩოების, ევროკავშირის მონიტორინგის მისიის ხელმძღვანელის, დონორების, არასამთავრობო სექტორის, ბიზნესის წარმომადგენლები და ევროპარლამენტარები. განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს დასავლეთის შემდეგი უნივერსიტეტების როლი: ბელგიის გენტის უნივერსიტეტი, ბრიტანეთის ვესტმისტერის უნივერსიტეტი, ვარშავის კოლეგიუმ ცივიტასი, ბელფასტის ქვინსის უნივერსიტეტი, კიევ-მოჰილას აკადემია, ბუქარესტის უნივერსიტეტი, ჰუმბოლტ-ვიადრინას საჯარო მმართველობის პლატფორმაზე შექმნილი ეუთოს ყირგიზეთის აკადემია. ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის განხორციელებას და მის მნიშვნელობას ხაზს უსვამს მთლიანად უნივერსიტეტის ე.წ. მესამე მისია, რაც ევროკავშირთან დაახლოების პროცესში აქტიური წვლილის შეტანას გულისხმობს, სწორედ, რომ აღნიშნული პროგრამის განხორციელების შედეგად.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **იურიდიული**

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **ევროპული კვლევების ინსტიტუტი**

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: **ჟან მონეს საბაკალავრო პროგრამა „ევროპოისმცოდნეობა“**

სწავლების საფეხური: **ბაკალავრიატი**

კრედიტების რაოდენობა: **240 ECTS**

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორი: **საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელები: ნათია ლაპიაშვილი**, შვეიცარიის ბაზელის უნივერსიტეტის სამართლის დოქტორი, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის ევროკავშირის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი და მოწვეული პროფესორი, საფრანგეთის გრენობლის უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი, კავკასიის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ვასილ კაჭარავა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

თამაზ ზუბიაშვილი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

დანიელა ურსე, ბუქარესტის უნივერსიტეტის სოციოლოგიის დოქტორი, თსუ ევროპული კვლევების ინსტიტუტის მოწვეული პროფესორი;

საბაკალავრო პროგრამის კოორდინატორი/ავტორი: ნინო ლაპიაშვილი, უნივერსიტეტის ევროპული კვლევების ინსტიტუტის დირექტორი, ბრიტანეთის ედინბურგის უნივერსიტეტის კვლევითი სამაგისტრო პროგრამის მეცნიერებათა მაგისტრი პოლიტილოგიაში, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის/ბუდაპეშტი იურიდიული ფაკულტეტის ადამიანის უფლებების სამართლის მაგისტრი, თსუ იურიდიული ფაკულტეტის სამართლის მაგისტრი.

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 11/04/2022, N 35/2022

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი):

პროგრამის სტრუქტურა

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი:														
სავალდებულო სასწავლო კურსები - 165 ECTS														
N	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა	სასწავლო კურსზე	სწავლების სემესტრი								ლექტორი / ლექტორები
						I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	

				საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები	გამოცდის დრო	სულ	დაშვების წინაპირობა									
1	LawBA ES-1	თანამედროვე ევროპის ისტორია საფრანგეთის დიდი რევლუციიდან დღევანდელობამდე (ქართ)	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე	√								ვასილ კაჭარავა, შალვა ხუფენია, გიორგი ლაბაძე
2	LawBA ES-2	მიკროეკონომიკის პრინციპები (ქართ/ინგლ)	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე	√								ნაზირა კაკულია
3	LawBA ES-3	ევროკავშირის ინსტიტუტები, პოლიტიკა და ძირითადი თეორიული მიდგომები ევროინტეგრაციის შესახებ (ქართ/ინგლ)	10	45	200	5	250	წინაპირობის გარეშე	√								ნინო ლაპიაშვილი
4	LawBA ES-4	მე-19 საუკუნის ევროპული ლიტერატურა: ძირითადი ტენდენციები (ქართ/ინგლ)	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე		√							თემურ კობახიძე, ნათია ზოიძე
5	LawBA ES-5	ევროპული ინტეგრაციის ისტორია (ქართ/ინგლ)	5	30	90	5	125	წინაპირობის გარეშე		√							ლევან მახაშვილი
6	LawBA ES-6	მაკროეკონომიკის პრინციპები (ქართ/ინგლ)	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე		√							ნაზირა კაკულია
7	LawBA ES-7	პოლიტიკური იდეოლოგიები (ქართ)	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე		√							სალომე დუნდუა
8	LawBA ES-8	მე-20 საუკუნის ევროპული ლიტერატურა (ქართ/ინგლ)	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე			√						თემურ კობახიძე, ნათია ზოიძე
9	LawBA ES-9	ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სისტემა: თეორია და პრაქტიკა (ქართ)	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე			√						კონსტანტინე კორკელია
10	LawBA ES-10	მაკროეკონომიკა (ქართ/ინგლ)	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე			√						ნაზირა კაკულია
11	LawBA ES-11	ევროსკეპტიციზმის პოლიტიკა (ქართ)	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე			√						სანდრო ტაბატაძე
12	LawBA ES-12	საქართველო-ევროკავშირის პოლიტიკური და სამართლებრივი ურთიერთობის ზოგადი ჩარჩო (ქართ/ინგლ)	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე			√						არჩილ ყარაულაშვილი
13	LawBA	ევროპის დემოგრაფიული	5	45	75	5	125	წინაპირობის				√					თამაზ ზუბიაშვილი

	ES-13	განვითარება (ქართ/ინგლ)						გარეშე									
14	LawBA ES-14	საერთაშორისო ეკონომიკა I (ქართ/ინგლ)	5	45	75	5	125	მიკროეკონომიკის პრინციპები; მაკროეკონომიკის პრინციპები;				√					მერაბ აბდალაძე, გიორგი მაჭავარიანი
15	LawBA ES-15	მიკროეკონომიკა ბიზნესისთვის (ქართ/ინგლ)	5	45	75	5	125	მიკროეკონომიკის პრინციპები; მაკროეკონომიკის პრინციპები;				√					ია ნაცვლიშვილი
16	LawBA ES-16	საერთაშორისო და ევროკავშირის სამართლის თანაფარდობა (ქართ)	10	45	200	5	250	წინაპირობის გარეშე				√					ნათია ლაპიაშვილი
17	LawBA ES-17	შესავალი რაოდენობრივ კვლევის მეთოდებში (ინგლ)	5	45	80		125	წინაპირობის გარეშე				√					დანიელა ურსე
18	LawBA ES-18	ექსპორტის მენეჯმენტი (ქართ)	5	45	75	5	125	მიკროეკონომიკის პრინციპები; მაკროეკონომიკის პრინციპები;					√				ნათია დაღელიშვილი
19	LawBA ES-19	კონკურენციის სამართლის საფუძვლები (ქართ/ინგლ)	5	30	92	3	125	წინაპირობის გარეშე					√				სოლომონ მენაბდიშვილი
20	LawBA ES-20	ევროინტეგრაციის ეკონომიკის შესავალი (ქართ)	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე					√				მერაბ აბდალაძე, გიორგი მაჭავარიანი
21	LawBA ES-21	ევროკავშირი უსაფრთხოებისა და სამხედრო გამოწვევების გარემოში (ქართ/ინგლ)	5	30	90	5	125	წინაპირობის გარეშე					√				ლევან მახაშვილი
22	LawBA ES-22	შესავალი თვისებრივ კვლევის მეთოდებში (ინგლ)	5	45	80		125	წინაპირობის გარეშე					√				დანიელა ურსე
23	LawBA ES-23	ასოცირების შესახებ შეთანხმება და ევროკავშირის ნორმებთან აპროქსიმაცია (ქართ/ინგლ)	5	30	92	3	125	წინაპირობის გარეშე						√			სოლომონ მენაბდიშვილი
24	LawBA ES-24	საერთაშორისო ეკონომიკა I I (ქართ/ინგლ)	5	45	75	5	125	საერთაშორისო ეკონომიკა I						√			მერაბ აბდალაძე, გიორგი მაჭავარიანი
25	LawBA	ევროპის ეკონომიკის	5	45	75	5	125	წინაპირობის						√			თამაზ ზუბიაშვილი

	ES-25	ისტორია (ქართ/ინგლ)						გარეშე									
26	LawBA ES-26	აკადემიური წერა (ქართ/ინგლ)	5	45	78	2	125	წინაპირობის გარეშე							√		გიული შაბაშვილი
27	LawBA ES-27	ევროკავშირის საერთაშორისო კერძო სამართლის საფუძვლები (ქართ/ინგლ)	5	30	92	3	125	წინაპირობის გარეშე							√		სოლომონ მენაბდიშვილი
28	LawBA ES-28	სკანდინავიის ქვეყნების ეკონომიკა (ქართ)	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე							√		ვახტანგ ჭარაია
29	LawBA ES-29	საბაკალავრო ნაშრომი	15	30	345		375	200 ECTS, მათ შორის, ყველა სავალდებულო კურსი								√	
30	LawBA ES-30	სამართლის ისტორია (ქართ)	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე	√								დავით ბოსტოღანაშვილი
31	LawBA ES-31	საერთაშორისო ურთიერთობის თეორიები (ქართ)	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე	√								კონსტანტინე შუბითიძე
32	LawBA ES-32	ევროპისა და ამერიკის ურთიერთობისა და თანამშრომლობის ისტორია. ევროატლანტიკური სივრცის ჩამოყალიბების საფუძველი (ქართ)	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე		√							ვასილ კაჭარავა, შალვა ხუფენია, გიორგი ლაბაძე
33	LawBA ES-33	სამართლის ფილოსოფია და საერთაშორისო სამართლის თეორიები (ქართ/ინგლ)	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე		√							ნინო ლაპიაშვილი
34	LawBA ES-34	საერთაშორისო კერძო სამართალი (ქართ)	5	45	75	5	125	წინაპირობის გარეშე			√						ნათია ლაპიაშვილი
35	LawBA	ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა	5	30	90	5	125	წინაპირობ				√					ლევან მახაშვილი

	ES-35	(ქართ/ინგლ)						ის გარეშე									
36	LawBA ES-36	კულტურათაშორისი კომუნიკაცია (ქართ/ინგლ)	5	45	75	5	125	წინაპირობ ის გარეშე					√				შალვა ხუფენია
37	LawBA ES-37	გაეროს როლი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების აღსრულებაში (ქართ/ინგლ)	5	45	75	5	125	წინაპირობ ის გარეშე					√				ნინო ლაპიაშვილი
38	LawBA ES-38	ჰუმანიტარიზმი და საერთაშორისო დახმარება (ქართ/ინგლ)	5	45	75	5	125	წინაპირობ ის გარეშე						√			გიორგი გაბუნია
39	LawBA ES-39	წინარე ქრისტიანული ხანის საქართველოს (იბერიის) კულტურა და დამწერლობა (ქართ)	5	45	75	5	125	წინაპირობ ის გარეშე						√			ელენე გიუნაშვილი
40	LawBA ES-40	ევროკავშირის ენერგო პოლიტიკა (ინგლ)	5	33	87	5	125	წინაპირობ ის გარეშე						√			ლეილა უჟიკანინი
41	LawBA ES-41	სოციალური ჯგუფები და ინტერაქცია (ქართ)	5	30	90	5	125	წინაპირობ ის გარეშე						√			მარეხ დევიძე
42	LawBA ES-42	ევროპული სახელმწიფოების პოლიტიკური სისტემები (ქართ/ინგლ)	5	45	75	5	125	წინაპირობ ის გარეშე						√			გიორგი ბადრიძე
43	LawBA ES-43	ევროკავშირის საგარეო ურთიერთობა თა სამართალი (ქართ/ინგლ)	5	45	75	5	125	წინაპირობ ის გარეშე							√		ნინო ლაპიაშვილი
44	LawBA ES-44	ევროკავშირის ძირითად უფლებათა სამართალი (ქართ)	5	45	75	5	125	საერთაშო რისო და ე ვროკავში რის სამარ თლის თან აფარდობა							√		თამარ კვარაცხელია
45	LawBA ES-45	ევროკავშირის როლი კონფლიქტის მშ ვიდობიან მოგვარებაში (ქართ/ინგლ)	5	45	75	5	125	წინაპირობ ის გარეშე							√		თამარ ქოჩორაძე
46	LawBA ES-46	ბრიტანეთის პოლიტიკა (ქართ/ინგლ)	5	45	75	5	125	წინაპირობ ის გარეშე								√	გიორგი ბადრიძე
47	LawBA ES-47	ფრანგული ენა A1.1 (ქართ)	5	45	75	5	125	წინაპირობ ის გარეშე	√								გიული კალატოზიშვილ ი
48	LawBA ES-48	ფრანგული ენა A1.2 (ქართ)	5	45	75	5	125	ფრანგულ ი ენა A1.1		√							გიული კალატოზიშვილ ი
49	LawBA ES-49	ფრანგული ენა A2.1 (ქართ)	5	45	75	5	125	ფრანგულ ი ენა A1.2			√						გიული კალატოზიშვილ ი
50	LawBA ES-50	ფრანგული ენა A2.2 (ქართ)	5	45	75	5	125	ფრანგულ ი ენა A2.1				√					გიული კალატოზიშვილ ი
51	LawBA ES-51	ფრანგული ენა B1.1 (ქართ)	5	45	75	5	125	ფრანგულ ი ენა A2.2					√				გიული კალატოზიშვილ ი

52	LawBA ES-52	ფრანგული ენა B1.2 (ქართ)	5	45	75	5	125	ფრანგული ენა B1.1						√			გიული კალატოზიშვილი
53	LawBA ES-53	ფრანგული ენა B2.1 (ქართ)	5	45	75	5	125	ფრანგული ენა B1.2							√		გიული კალატოზიშვილი
54	LawBA ES-54	ფრანგული ენა B2.2 (ქართ)	5	45	75	5	125	ფრანგული ენა B2.1								√	გიული კალატოზიშვილი
55	LawBA ES-55	ინგლისური ენა 1	5	60	60	5	125	ინგლისური ენის ცოდნის B1 დონე	√								თსუ-ის ენების ცენტრის პედაგოგი
56	LawBA ES-56	ინგლისური ენა 2	5	60	60	5	125	ინგლისური ენის ცოდნის B2.1 დონე		√							თსუ-ის ენების ცენტრის პედაგოგი
57	LawBA ES-57	საერთაშორისო სამართალი საერთაშორისო ურთიერთობებში	5	31	1	93	125	ინგლისური ენის ცოდნის B1 დონე	√								მარეკ იან ვასინსკი
თავისუფალი კრედიტები - 35 ECTS																	

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი